

ონლაინ კომერცია და მომხარებელთა უფლებების დაცვის
სამართლებრივი მექანიზმები ქართულ და ევროპულ კანონმდებლობაში

ანა გოდელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაპუნა პაპიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გოდელაშვილი

2016 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ონლაინ კომერცია და მომხმარებელთა უფლებები საქართველოში, მათი რეალური მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები. თეზისში პრიორიტეტული განხილვის თემაა მომხმარებელთა უფლებების კვლევა ონლაინ კომერციაში, საქართველოში არსებული ტენდენციები, გამოწვევები უხარისხო პროდუქტისა და მომსახურების ირგვლივ. ასევე, წარმოჩენილი იქნება დღევანდელ რეალობაში არსებული მდგომარეობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები, რაც გახდა საფუძველი საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევისა და რეგულაციების სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებისათვის.

ნაშრომი შედგება შესავალისა და ოთხი თავისაგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს ქვეთავებს, სადაც განიხილება როგორც ელექტრონულ ვაჭრობაში არსებული გამოწვევები, ასევე სამომხმარებლო უფლებები და დასკვნები ამ მიმართლებით.

ნაშრომის მთავარი მიზანია საქართველოში მიგნებების ანალიტიკურ ჩარჩოში განხილვა და რეკომენდაციების დამუშავება, გაცემა, რომელიც არსებობს, როგორც ელექტრონულ კომერციაში, ასევე საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. განხილულია მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონის პროექტი, რომელიც მუშავდება საქართველოს პარლამენტში. კანონპროექტზე მუშაობა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულმა ჯგუფმა დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მომხმარებელთა უფლებების შესახებ არსებული კანონი 2008 წლის 8 მაისს გაუქმდა, რამაც საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე მოცემული თემის კვლევის აუცილებლობა კიდევ უფრო თვალნათელი გახდა. ამიტომაც, აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა სრულყოფილი და დახვეწილი სახით. არსებითია მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანა, როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო სავაჭრო ბაზრის მოთხოვნებთან. ამ მიზნის მისაღწევად ქართველ კანონმდებელს საკითხის სისტემურად შესწავლა და ანალიზი მოუწევთ, რაშიც დიდ დახმარებას ევროპული კანონმდებლობა გაუწევს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელექტრონული კომერცია, ელ - ვაჭრობა,
მომხმარებელთა უფლებები

Abstract

The presented research deals with online commerce and consumer rights in Georgia, their real situation and development trends. The research priority discussing issue is consumer rights investigation in online commerce, trends and challenges concerning substandard products and services. There also are presented the major causative factors of this situation, existing in today's reality, that became the foundation for the legal framework of this issue and for the improved formation of the regulations.

The research consists of the introduction and four chapters, which in turn include sub-sections, where the challenges, existing in online commerce are discussed as well as the consumer rights and the findings in this direction.

The main goal of the research is to discuss the findings in analytical framework in Georgia and reference treatment and deliver, existing in an online commerce as well as in all directions of consumer rights defence in Georgia. The consumer rights draft law is discussed, which is being developed in the Parliament of Georgia. The group associated with European Integration Committee started working on this bill. It should be noted that existed consumer rights law was repealed on May 8, 2008, that made more obvious the imminence of the presented issue research, ensued of the theme urgency.

Therefore, it is necessary to create appropriate legislation in a perfect and refined form. It is essential to establish regulative norm as Georgian as well as international trading market demand to achieve this goal. Georgian legislator should study this issue and analysis, in which European legislation will help.

Basic key search words: e-commerce, e-trade, consumer rights.

მადლობა

ნაშრომზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ლექტორს ბატონ პაპუნა პაპიაშვილს, რომლის დახმარებითა და დიდი შრომის შედეგად შეიქმნა ნაშრომი. მისი ძალისხმევა და კვალიფიკაცია დამეხმარა წარმომედგინა აღნიშნული თეზისი სრულყოფილი სახით. მადლობას ვუხდის მას ამ ხნის განმავლობაში გაწეული თავდაუზოგავი მუშაობისთვის.